

ანდერსენის ზღაპრები



თარგმანი ნინო ნავაშაძის

{ მარგულა წაგნა } —

გ ა თ რ შ ი

სტამბა თეატრთქილაძისა და მაქლაიშვილისა

1893

ჰანს-ქრისტიან ანდერსენი

ჰ. ქ. ანდერსენი, განთქმული ავტორია წიგნებისა, დაიბადა 2 აპრილს 1805 წელს, დანიის სამეფოს კუნძულ თვიმიაზე, ქალაქ ოდენსეში. მამა მისი უბრალო ხარაზი იყო, ღარიბი მუშაკი, და თავის შვილს სიღარიბეში წარდიდა. თორმეტი წლის ჰანსი დასწავლდა, დედის ასობიდან. დედამ შვილი ვოქსენ-ჰეტენს გააგზავნა სწავლებელში. ბავშვმა აქედან სიღარიბე და გაჭირვება გამოიპარა კიდევ მივარკვლნი ან აქნდენს, რომლებმაც სწავლის დასრულების სანდებებ მისცეს.

გიმნაზიაში ანდერსენს ზორიდან დასწავლა ლექსი „ბავშვთა სიკვდილი“, რომელმაც თავისი ხმდვილა ზოეტერა ნიჭი წარსად გამოხატა. შემდეგ უნივერსიტეტში ანდერსენ-

ნმა დასწერა სატირული მოთხრობა „მგზავრობა ფესით ჭოლმიდან ოსტუმრიცამდის“. ამ მოთხრობამ საზოგადოების ყურადღება მიიზიდა. ამას მოჰყვა ლექსები, დრამატული ნაწარმოები და რომანები. მის რომანებში განთქმულია „იმპროვიზატორი“, 1835 წელს გამოცემული. ამავე წელს გამოსცა პოეტმა თავისი ზღაპრების პირველი კრებული, რომელითაც თავისი სახელი უკვდავი დიდებით შეძლას. დღეს უკვლავ ქვეყნებში, სადაც კი ბეჭდვითი სიტყვა არსებობს, იცნობენ ანდერსენის ზღაპრებს. მისი ზღაპრები იაპონიურ ენაზედაც სთარგმნეს.

პოეტმა ბევრი იმგზავრა, შემოაარა კერძა, მცირე ზომა, აფრიკა, დასწერა თავისი ბიოგრაფია, „ჩემი ცხოვრების ზღაპარი“ და გარდაიცვალა 4 აგვისტოს 1875 წელს.

აი პოეტის გარეგანის ცხოვრების მოკლე აღწერა. მისი სულის ბიოგრაფია კი, მისი სულის ამბავი მის უმშენიერეს ნაწარმოებში-ზღაპრებშია გამოსატული. ამ ზღაპრებმა გულისწავლეს, რომ ანდერსენის სამდვილო სამშობლო იყო პოეზია ადამიანის სულისა, სამშობლო წმინდა და საყვარელი. ამ პოეზიის მზე

„ერთიან ქვეყანას“ და ერთნაირი საყუარულთ ჭკუებს ეკლას, დიდსა და პატარას, სალხებისა და ქვეყნების განურჩევლად. აი ამიტომ არი, რომ უკვლავ, უკვლა ქვეყნებში, სალხი ერთნაირად ეწაფება ანდერსენის ზღაპრებს, ერთნაირად სტკებება იმათი მშვენიერებით. დიდი და პატარა ანდერსენის ზღაპრებში იმავე სიტუაცხლეს ჭსედავს, რომელიც მათ გარეშემოა, მხოლოდ ეს სიტუაცხლე პოეზიის შუქით არის გაცხოველ-განათებული, და აქ გამოისატა ანდერსენის დიადი მნიშვნელობა. პოეტი ზრდის ადამიანის სულსა, აჩვენებს ეოკელს დიდსა და პატარას იმ ღმერთს, რომელმაც ქვეყანა შექმნა და თვისი მადლით შემოსა. ამისთანა ჭუმანურს აღზრდას მოკლებული სული საბრალოა და უბედური.

ავილოთ მაგალითად პოეტის ერთი მარგალიტი „ნაძვი“. წავიკითხოთ და დაუუკვირდეთ მის შინაარსს.

მშვენიერ პატარა სეს, ტუეში მზის სხივებისა და ნიავის აღერსით გამოზრდილს, ჩიტების მოტანილი ამბავი და მარეკებული ოცნება რაღაცა სსკა ცხოვრებას უხატავს, უფრო ბედნიერს, უფრო ბრწყინვალეს. საბრალოს სწუ-

რის ეს ბრწყინვალეობა და მისი მოლოდინში გული უკვდება. მოაწია შობამ და სესი სანატრელი დღე დაუდგა. სამკვი მოსტარეს, თბილ ოთახში შეიტანეს და მშვენივრად გამოაწვეეს. სე დაათარო მასში ბრწყინვალეობამ. მაგრამ დასეთ ამ წუთი სოფლის ბრუნესს! ჰეტარა სე, რომელმაც ბავშვები დაატებო და აღტაცებაში მოიყვანა, გაძარცვეს, მთელი მისი ბრწყინვალეობა შემოაგლიჯეს, გაანაწილეს; საბრალო სამკვი ვა მოსამსახურებმა გაათარეს ოთახადგან და ერთ ბნელ გუნსულში მიადგეს. მწარე ფაქის მიეცა სამკვი, მაგრამ მომძკალის იმედი მასზე ჰქონდა საბრალო სეს. ვნახოთ, რა მოუტანა ამ მომძკალმა. სეს, როგორც იყო, მიადგეს, გამოათარეს, ერთს წუთის მზის შუქი დაანსეს, მერე ნაკუწ-ნაკუწად ჰქციეს და დასწვეს.

ამ სლახვარში ჰოეტმა ცხოვრების ფილოსოფიას გამოსიტა. სე შეუშინდებით ამ სიტყვას და ვნახოთ, როგორ გაიგებს ამ ფილოსოფიას დიდი და ჰეტარა. სისოგადობებაში გაგვიგონია შემდგარი ახარი, ახდესესისი ფილოსოფიას ბავშვი ვერ მისკდებაო. ამისთანა ახარის დასახში გაუკებრობა და ჰოეტის ღირსების დამცირება. ბავშვი სელოკიურად და

გრძნობით დასტულს სურათს თავისებურად
 გაიგებს, ადაღ-ბავშვურად, მაგრამ ისე კი,
 რომ გაგებულთ ღრმად დახსნიეს კვლავ მას
 სორას სუფას და შიგნით აღმადანურის,
 სათელი გრძნობის სთუქუქვას ჩუქვამს. ბავ-
 შვი უკრ უკრ შვიტუობს იმას, რომ საძვი-
 ტხოვრებადანი არის ამოღებულთ, რომ ზოტის
 კვლამთ დასტული ტუე წამოადგენს წმინდა,
 მუყდრო ტხოვრებას, უმსნო სიუვარულის შუ-
 ქით გამობარს და გაცოცხლებულს. კურ გა-
 იგებს იმას, როგორ და რად დაღუჭს სე ამ სოფ-
 ლას ტრუ ბრწეისვლებამ, რომელიც გულოთ
 სწყურად სდარალოთ. ამას გაგებას და შუტ-
 ყობას თავისი დრო დაუდგებს. უკრ-უკრობით კი
 სდაზრას ყოველი სტრაქიათ, საცოცხლოთ
 სავსე, ბავშვს იმისთანა გრძნობებს უღვობებს
 და უწკროვისთ, რომელთაც მას, ტხოვრებაში
 არა გამოკვ, ადამიანის ბუნებას და დახიშნუ-
 ლებას გაგებობს. ეს მალა გრძნობა-სა-
 ყვარული, სობარაღული, უსამართლოდ ჩუკ-
 რულით და დექიღლით შეცოდება, მითინ
 თანგრძნობა..... ზოტის მსიქსებამ გაცო-
 ცხლად ბავშვთ თვლას წანი უსულთ სავანა,
 ზეტარ სე, მოუთხრო მათ თავ-გარდასავლა


VIII

და შეყუარა იგი. პროტმა დაბადა ბაკშის
გულში გრძნობა ადამიანური, რომელიც ცხოვ-
რებაში ყოველთვის იშოვის თავის საზრდოს.

დიდებს კი, რომელთაც საკსებით ესმით.
პროტის ღრმა აზრი, სიბლავს მისი პროქიის
მიმზიდველობა და მშენიერება.

ა. ნ— შამე





ნ ა მ ვ ი .

ტყეში ერთი ლამაზი ნაძვი იდგა. კარგად გილას იყო ამოსული ეს ნაძვი: ჰაერი საკმაოდ ჰქონდა გარშემო, გვერდით

ბევრი მაზე უხნესი ამხანაგები ნაძვები და ფიჭვები უდგნენ. პატარა ნაძვის ერთად ერთი ფიჭვი და ნატვრა კი ის იყო, მალე, მალე გავიზარდოო. არაფრად აგდებდა არც გრილ ნიავსა, არც მზის ცხოველ სხივებს; დარდიც არ ჰქონდა სოფლის ბავშვებისა, როცა ისინი მთელ ტყეს მოედებოდნენ ხოლმე მარწყვისა და მაყვლის საკრეთად. ბავშვები ხილს ზოგჯერ სავსე კალათას შოულობდნენ, ზოგჯერ კი მძივ-მძივად აასხამდნენ პატარა ნაძვთან, დალაგდებოდნენ და იტყოდნენ ხოლმე:— „დახე რა ლამაზი რამ არი ეგ ნაძუნაო“. ხესკი დიალაც არ მოსწონდა მაგნაირი ლაპარაკი.

წლის განმავლობაში ნაძვს გრძელი ყლორტი ამოუვიდა, შემდეგ წელაწადში ერთიც სხვა მოემატა. ამიტომაც ნაძვს ხნიერებას ყლორტებზე შეატყობენ ხოლმე. — „ოჰ, ნეტავი სხვებსავით დიდ, მაღალ ხედ მაქცია!!! ამბობდა გულდამწვარი პატარა ნაძვი. „აი ჩემ შტოებს მაშინ გავშლიდი შორს და გადავხედავდი მთელს ქვეყანას, ჩიტებიც მაშინ დაიბუღებდნენ ამ ჩემ შტოებში. ქარში. კი მეც ამაყად

მოეხრიდი თავს, ე მანდ ჩემ მეზობლებსა-
ვით.“

ნაძვს გულის არ უხარებდა არც მზის
შუქი, არც ჩიტები, არც მალლა ცაში
მცურავი ოქროს ღრუბლები.



ზამთარში, როცა დედა მიწას ბრწყინ-
ვალე თეთრი თოვლი აფენია, ხშირად
ტყიდგან გამოვარდებოდა ხოლმე კურდღე-
ლი და პატარა ხეს თავზე გადაახტებოდა.
ოჰ, რა გული გაუძლებდა ამ გვარ კანდი-
ერებას! გაიარა ორმა ზამთარმა, მესამეც
დადგა და ნაძვი იმ სიმაღლე გაიზარდა,
რომ კუდრღელი გვერდზე თუ გაუტრბენ-გა-
მოუტრბენდა, თორემ ზედ ელარ ახტებოდა.

„გაზრდა, გაზრდა და მოწითება, ამაზე უტკ-
პესი სხვა არათერია მთელს ქვეყანაში,“
ფიქრობდა ნაძვი.

ყოველ ზამთრის პირზე ტყეში მუშები
გაჩნდებოდნენ სოლმე და დიდ ხეებსა სკრი-
დნენ. ახლა კარგა ტან აყრილ ნაძვს გუ-
ლი უკვდებოდა შიშით: მის სიახლოვეს
მოქრილი ხეები ქექა-გრიალით დაეხეთქე-
ბოდნენ ხოლმე დედა მიწას; ამ ხეებს მუ-
შები უტოებს აჩეხავდნენ. მიჯაზე გაშო-
თვილ წვრილ, შიშველ ნაძვებსა და ფიქ-
ვებს თქვენ ეხლა ვერც კი იცნობდით.
ხეები შემდეგ ურმით გაჰქონდათ ტყიდგან.

საით მიჰქონდათ ეს ხეები? შორს ქვე-
ყანაში იმჷთ რა ბედი მოელოდა?

გაზათხულზე, მერცხალი და წერო
რო მოფრინდნენ, ნაძვმა ჰკითხა: „ხომ
არ იცით, სად წაიღეს მოქრილი ხეები,
გზაში ხომ არ გინახავთო?“

მერცხალმა არათერი იცოდა, წერო კი
დაფიქრდა, თავი მძიმედ დაიქნივა და სთქვა:
„ღიალაც ვიცი: ეგვიპტედან რომ დაებრუ-
ნდი, ზღვაში ბევრი ახალი ხომალდი
დაეინახე; ხომალდებს მშვენიერი ან-

ძები აღგათ. დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილად ისინი იქნებოდნენ: ანძებს ნაძვის სუნი ჰქონდა.“

— „ოჰ, ნეტავი მათ სიდიდე ვიყო და ზღვაზე დავფრინავდე! ერთი ეს მიბრძანეთ, ზღვა რაღაა, რის მზგავსია?“

— „შენთან სალაპარაკოდ ვის სცალია!“ სთქვა წერომ და გაფრინდა.

— „დასტკბი შენის სიყმაწვილითა!“ ეუბნებოდნენ მზის სხივები: „დასტკბი შენის სინორჩით და იმ ცხოველი ძალით, რომლითაც სავსე ხარ შენ!“

ქარი ჰკოცნიდა ხეს, დილის ნამი წმი ნდა ცრემლით დასტიროდა, ნაძვს კი ეს არ ესმოდა.

ქრისტეშობისთვის სულ ნორჩი ხეები მოსჭრეს; ისინი ჯერ ნაძვის კოლაც არ იყვნენ; ნაძვი კი სულ იმას ფიქრობდა, სულ ის დარდი ჰქონდა, უფრო და უფრო მაღალი გავიზარდოო. იმ მშვენიერ ნორჩ ხეებს შტოებს არ აჩებდნენ: ურემზე აწყობდნენ და ისე გაჰქონდათ ტყიდგან.

— „ნეტავი სად მიაქვთ?“ — კითხულობდა ნაძვი. „მოჭრილი ხეები ხომ თითქმის ჩემი

ტოლები არიან; ერთი ჩემზე ბევრად უმცროსიც მოსჭრეს. რად შეუჩინიათ იმათთვის შტოები? საით მიდიან?“

— „ჩვენ ვიცით, ჩვენ ვიცით!“ აკიკტიკდნენ კივჭავები: „ქალაქს ფანჯრებში შევიხედეთ, ვიცით საცა მიდიან. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდებაში და ბრწყინვალებაში ჩავარდნილან! ფანჯრებში შევიხედეთ ღანძვები საუცხოვოდ მოკაზულოები დავინახეთ: ოქროს ვაშლებით, თათლის კვერპლით, სათამაშოებით, ათასი სანთლებით გაბრწყინვებულნი იდგნენ ისინი თბილ ოთახში.“

— „მერე?“ ჰკითხა ნაძემა და შეიძრა მთლად თავის შტოებით: „მერე რა ნახეთ?“

— „ჩვენ მეტი არაფერი დავგინახავს; საუცხოვო რამ მშვენიერება იყო!“

„ნუ თუ მეც ასეთი ბედი მომეღის, მეც იმათსავით ბრწყინვალე გზას დავადგებო?“ აღტაცებით ფიქრობდა პატარა ნაძვი. „ზღვაზე ცურვას ეს ხომ ბევრად სჯობია! ღმერთო, რა გვარად მიწუხს სული და გული! ნეტავი ეხლა ქრისტეშობის დღე იყოს. სიმაღლითა და სიმსხოთი მე ხომ ახლა იმ

ხეების ოდენა ვარ, შარშან რომ ტყიდან გაიტანეს. ოჰ, ნეტავი ურემზე ვიყო! ნეტავი ახლა თბილ ოთახში მამყოფა, საუცხოოდ მორთულ, მშვენიერ ოთახში! მაგრამ მერე კი რაღა იქნება? ოჰ, მერე კიდევ უფრო უდიდესი, უფრო მშვენიერი დღეები დამიდგება—მაშ რისთვის 'მომკაზმენ ასე ლამაზად! დიად, შემდეგ კიდევ უფრო დიდს, უფრო ბრწყინვალე ბედნიერებას უნდა მოველოდე. მაგრამ რას? ღმერთო, რა რიგად მტანჯავს და რა რიგად გულს მწვაავს ეს ფიქრი და მოლოდინი!“

— „დასტკბი ჩვენი ალერსით!“ ეუბნებოდნენ ჰაერი და მზის შუქი: „დასტკბი შენის სიყმაწვილითა, თავისუფლებით!“

პატარა ხეს კი ამგვარის თავი არ ჰქონდა; იზრდებოდა და იზრდებოდა; ზამთარზაფხულ სულ მწვანით მოსილი იდგა ტყეში. თვალს ვინც მოჰკრავდა, „ეს რა მშვენიერი ნაძვიაო!“ — იტყოდა ხოლმე. საშობოლოთ ყველაზე უმაღლ ნაძვი მოსკრეს, ცული შიგ შუა გულში ღრმად ჩაეკედა. ნაძვმა კენესა ამოუშვა და ძირს დაეცა.

მწვავემა ტკივილმა დაუარა ტანში. მას აღარ აგონდებოდა მომავალი ბედნიერება. მეტად უმძიმდებოდა მოშორება თავის სამშობლოს იმ ადგილისა, სადაც გაიზარდა. იცოდა, რომ სამუდამოდ ეთხოვებოდა ძველ მეგობრებს- პატარა ბუჩქებს, ყვავილებს და, ვინ იცის, იქნება ჩიტებსაც. სამწუხარო იყო ეს გამოთხოვება!

გონზე მხოლოდ მაშინ მოვიდა ნაძვი, როცა სხვა ხეებთან ერთად სადღაც ეზოში შეიტანეს და ვილაც უცხო კაცის ხმა გაიგონა: „აი ევ მშვენიერია! სხვა ჩვენ აღარ გვინდაო!“

ამ დროს ლამაზად მოკაზმული ორი მოსამსახურე გაჩნდა და ნაძვი დიდ, მშვენიერ დარბაზში შეიტანეს. იქ გარემეშო კედლებზე სურათები ეკიდა. დარბაზში დიდ ბუხრის თავზე ჩინური ჭურჭელი ელაგა: ჭურჭლების თავსახურავენს ლომების ქანდაკებანი ამშვენებდნენ. იქვე იდგნენ საქანაო სავარძლები, აპრეშუმ გადაკრული ტახტები, დიდრონი სტოლები, რომლებზედაც მრავალი სურათებიანი წიგნი და სათამაშოები ეწყო, ბავშვებს თუ დაუჯე-

რებთ, სულ ას-ას თუმნიანება... ნაძვი, ქვი-
შით სავსე, დიდ კასრში ჩადგეს. კაცი
ვერც-კი იფიქრებდა, თუ ეს კასრიაო,
რადგანაც გარეშემო მწვანე მაუდი ჰქონდა
შამოკრული და დიდსა ზე კრელ ხალიჩაზედ
იდგა. ოჰ, რა ნაირად თრთოდა ნაძვი!
არ იცოდა, რას მოესწრებოდა. შემდეგ
მოსამაჩხურე ქალები შეჰოვიდნენ და ხეს
კაზმვა დაუწყეს. შტოებზე კრელ ქალღდის-
გან გამოქრილი პატარ-პატარა ბადეები
ჩამოჰკიდეს: ბადეები ტკბილეულით აავსეს.
ოქროს ვაშლები და კაკლები იმ გვარად ჩა-
მოაპეს, რომ ნამდვილი გამოსხმული გე-
გონებოდათ. შიგა-და-შიგ ყლორტებზე
მრავალი წითელი, ლურჯი და თეთრი სან-
თელი ჰიაწებეს. აქა იქ ჩაკრული სათამაშო
ტიკინები ხის მწვანე ეკლებიდან სწორედ
კოცხალ ადამიანებივით გამოიციკრებო-
დნენ. ნაძვს ამგვარი რამ ჯერ თავის ღლეში
არა ენახა რა. მალლა კენწეროზედ ოქროს
ქალღდისაგან გამოქრილი ვარსკვლავი
ბრწყინავდა. მშვენიერება რამ იყო, ვასაო-
ცარი მშვენიერება!

„სალამოს“. ყველა ამას გაიძახოდა:
„სალამოს მთელი ხე განათლებაო!“
— „ნეტავი მალე დალამდებოდეს!“! ფიქრობდა ნაძვი: „ნეტავი მალე ამინთებდნენ სანთლებს“. „შემდეგ კი რა უნდა მოხდეს? ტყიდან ხეები ხ.ამ არ მოვლენ ჩემ სანახავად? ხომ არ მოფრინდებიან ჩიტები? ზამთარ-ზაფხულ სულ აქ ხომ არ დავრჩები, ასე ლამაზად მორთული“?

ბოლოს სანთლებიც აანთეს. ოჰ, რა რივად განათდა ნაძვი, როგორ გაბრწყინდა! ხე თავის შტოებიანათ ისე შეკრ აა, რომ ერთი მისი ტოტი სანთელს შეეხო და უეცრად ცეცხლი მოეკიდა. სახუმრო საქმე როდი იყო.

„არიქა, არიქა!—გვიშველეთ“, გააბეს ქალებმა კვილი და ცეცხლიც მალე გააქრე.

„ამას იქით“, გადასწყვიტა ნაძვმა, „ჩემს დღეში აღარასფერი ამაკანკალებს. რა უბედურობას გადაკრჩი!“ როგორ ეშიოდდა, რომ მის სამკაულს არა მოჰდებოდა რა. ხე სულ გაიტაცა თავისმა ბრწყინვალებამ. უეცრად გაიღო კარები და ოთახში ბავშვები შამო-

ცვივდნენ, ისეთის სისწრაფით, თითქო ნაძვს წაქცევას უპირებდნენ. უფროსებს იმათზე თვალი ეჭირათ. ბავშვები, ნაძვის მშვენიერებით გაოცებულნი, წამზედ შეჩერდნენ, მაგრამ წამს არ გაუვლია, რომ იმათ ყვირილ-კივილისაგან ოთახის ფანჯრებს ზანზარ იგაჰქონდა; ხის გარეშემო ცეკვა-თამაში გამართეს და თან საჩუქრებს დაუწყეს წყვეტა.

„ე რასა სჩადიან“?—ფიქრობდა ნაძვი; რას მიპირებენ“?

სანთლებიც თითქმის მთლად ჩამწვარიყვნენ. ბოლოს დააქრეს კიდეც და ხე ბავშვებს დაანებეს გასაძარცვავად. ოჰ, როვიარ დაერივნენ საწყალ ნაძვს—მის შტოებს ტკაცა ტკუცი გაჰხდათ. ხეს უეჭველად წამოაქცევდნენ, მისი კენწერო რომ ჭერზე ოქროს ვარსკლავით არ ყოფილიყო მიკრული. ბავშვები ცეკვავდნენ. ხელში მშვენიერი სათამაშოები ეჭირათ. ნაძვის დარდი აღარავის ჰქონდა, ერთ მოხუცებულ გამდლის გარდა, რომელიც შტოებს ათვალიერებდა—იქნება ან ვაშლი, ან სხვა რამ დარჩენილი ხილი ვიპოვნო.

„ახლა ზღაპარი, ზღაპარი“! იყვირეს ბა-

ვშევებმა და ერთი მსუქანი პატარა კაცი მიი-
ყვანეს ნაძვთან. კაცუნა იქ ჩამოჯდა და და-
იწყო: „აი, ჩვენ ეხლა ტყეში ვზივართ.
ზღაპარი ამ ხესაც გამოადგება, ყური თუ
კარგად დაგვიგდო. იცოდეთ კი, რომ ერთის
მეტს არ გეტყვით. აბა, ივედე-ავედეს ზღა-
პარი გინდათ, თუ კლუმბე-დუმბესი, რომე-
ლიც ჯერ კიბიდგან ჩამოაგდეს, შემდეგ კი
სახელმწიფო ტახტზე ავიდა და ხელმწიფის
ქალი ითხოვა“?

ზოგი „ივედე-ავედესიო“, რასხდა, ზოგი
„კლუმბე-დუმბესიო“! ოჰ, რა ყვირილი და
აღლიაქოთი ასტყდა. მარტო ნაძვი იყო გაჩუ-
მებული და ფიქრობდა: „ნუ თუ, მე არავინ
არათერს მკითხავს და ასე უყურადღებოდ მი-
მაგდებენო? მან არ იცოდა, რომ მისი ვა-
ლი გადახდილია, დანიშნულება—შესრუ-
ლებული.

პატარა კაცმა უამბო ბავშვებს კლუმბე-
დუმბეს ზღაპარი, რომელიც ჯერ კიბიდგან
ჩამოაგდეს, შემდეგ კი სახელმწიფო ტახტ-
ზედ ავიდა და ხელმწიფის ქალი ითხოვა.
ბავშვებმა ტაში დაუკრეს და „ახლა სხვა გვი-
თხარი, სხვა გვითხარი“ ო!.. — დაიწყეს ყვი-

რილი. ივედე-ავედეს ზღაპარიც უნდოდათ; მაგრამ პატარა კაცუნა უარზე დადგა და ბავშვები დაწყნარდნენ. ნაძვი იდგა მღუმარე და ღრმად დაფიქრებული: თავის დღეში მას ტყის ჩიტებისაგან ამ გვარი რამე არა გაეგონა რა. „კლუმპე-დუმპე კიბიდგან ჩამოუგდიათ და მაინც ხელმწიფის ქალი უთხოვია; დიად, აგრე იცის ამ წუთი-სოფელმა“, ფიქრობდა ხე. ზღაპარი მას მართალი ეგონა, რადგანაც პეტროსანი კაცისაგან იყო ნაამბობი. „აბა ვინ იცის, იქნება მეც კიბიდგან ჩამაგდონ და შემდეგ ხელმწიფის ქალი ვითხოვო!“ აღტაცებით ფიქრობდა ისა. მას ეგონა, რომ ხვალაც ისევ სათამაშოებით და სანთლებით, ოქროთი და ხილით მორთავდენ.

„აი, ხვალ მე აღარათერი შემაშინებს!“ ფიქრობდა ნაქვი. „ხვალ სულითა და გულით დავსტკბები ჩემის ბრწყინვალეებით. კლუმპე-დუმპეს ზღაპარს ხომ ხელ მეორედ მოვისმენ; იქნება, ივედე-ავედეს ზღაპარიც გვიანბონ“. მთელი ღამე ნაძვი მღუმარე და დაფიქრებული იდგა.

რომ გათენდა, ოთახში მოსამსახურეები შემოვიდნენ. „ახლა ისევ მომკაზმენ“.

იფიქრა ნაძვმა, მაგრამ მოსამსახურეთ ოთახიდან გაიტანეს, კიბეზე აათრის და იქ ერთ ისეთ ბნელ კუნჭულში მიაგდეს, სადაც მზის სხივიც კი არსად სჩანდა. „რა ამბავია? ფიქრობდა ნაძვი. აქ მე რა უნდა გავაკეთო, ან რა უნდა გავიგონო!“ ნაძვი კედელს მიეხრჩინა. ზღაპრის ფიქრმა წაიღო: ფიქრობდა და ფიქრობდა. დროც ბევრი ჰქონდა საფიქრებელი. დღე დღეს მისდევდა, ღამე—ღამეს. მის სანახავად კი არავინ მოდიოდა. ბოლოს მოვიდა ვიღაცა და დიდი სკივრები დასდგა იქვე კუთხეში. სკივრები ნაძვს ისე ჩამოეფარნენ, რომ სულ აღარ სჩანდა, თითქო მთელი ქვეყნისა და მისი მივიწყებული არსო.

„გარედ ახლა ზამთარი უნდა იდგეს,“ ფიქრობდა ხე: „მიწა გაყინული იქნება და აოვლით დაფენილი, ამიტომ ისევ იქ ვეღარ ჩამრგვენ და გაზაფხულამდის ასე შენახული ვიქნები. რა გულოკეთილები ყოფილან ეს ადამიანები! ოდნავ მაინც რომ გაენათებინათ ეს ადგილი ზღაპრის სანახავად სიჩუმეც რომ არ იყო... კურდღლის ბაჭიაც რომ არ ჩამოირბენს!“...

„ცოცხალი სულის ჩამი-ჩუმიც არ ისმის არსად. რა კარგი რამ იყო ზამთარში ტყე! მიწაზე თოვლი იდო. ზოგჯერ კურდღელი გამოიჭრებოდა ტყიდგან და ხან გვერდზე ჩამოირბენდა, ხან თავზე გადამახტებოდა ხოლმე. მისი თავხედობა მაშინ როდი მომწონდა. აქ კი რა საშინელი მყუდროებაა!“

„წრიპ, წრიპ!“—სადაც თავგმა დაიწრიპინა და სოროდგან ამოძვრა; ამას მეორეც თან ამოჰყვა. თავგებმა ნაძვი დასუნეს და მის `შტოებში მიიმალნენ.

„ოჰ, რა სიცივეა!“! სთქვეს თავგებმა: „რომ არ ციოდეს, აქ მშვენიერი სამყოფა იქნებოდა. შენ რას იტყვი, ბებერო ნაძვო?“?

„ჯერ მე ბებერი როდი გახლავარ!“! უპასუხა ნაძვმა: ჩემზე უხნესს ბევრს ნახავთ.“

—„სადაური ხარ?“? ჰკითხეს თავგებმა. „და რა იცი შენ?“? თავუნები მეტის შეტად ცნობის მოყვარენი იყვნენ.“ გვითხარი რამ დედამიწის მშვენიერ კუთხეებისა. ხომ არ გიმგზავრია! ხომ არ ყოფილხარ იმ საკუქნაობებში, სადაც თაროებზე ყველი აწყვია და ქერზე კუპატებია ჩამოკიდებული, სადაც ნება გაქვს, სულ ქონის სანთლებზე იცეკვო,

სადაც შედიხარ მქლე და გამოდიხარ ჩაქანი?“

„მაგისი მე არა ვიცი რა“, — უპასუხა ნაძვმა: „მე მხოლოდ ტყეს ვიცნობ, სადაც მზე ანათებს და ჩიტები ჭიკჭიკობენ“. ჭ ნაძვმა თავის სიყმაწვილის თავ-გადასავლს მოუყვა. ჯერ თავვებს ამგვარი არაფერი გაღგონათ და ყურებ აცქვეტილები უსმენდნენ. „ოჰ, რა და რა არ გინახავს შენ!“ — უთხრეს, „რა ბედნიერებას მოსწრებიხარ“

„ბედნიერებასო“, სთქვა ნაძვმა და თავის ნაამბობს დაუფიქრდა. „მართლაც, რომ ბედნიერი დღეები იყო ის დღეები! შემდეგ ნაძვმა ისიც უამბო, „შობა-ლამეს დიდ დარბაზში რა მშვენიერად მორთული და განათებული იდგა.

„ღმერთო! რა ბედნიერება გინახავს, ბებრო ნაძვო“. წამოიძახეს თავვებმა.

„მე სულაც არ გახლავარ ბებერი“ — მიუგო ნაძვმა: „მხოლოდ ამ ხამთარში წამო-მიყვანეს ტყიდგან. მე ჯერ მოწითულებაში თუ ვიქნები,“.. „ეს რა ლამაზი ლაპარაკი გცოდნია“, უთხრეს თავვებმა ჭ მეო-ე ლამეს ისევ ეწვივნენ, თანაც ოთახში სხვა თავუ-

ნაები მოიყვანეს; ამათაც უნდოდათ, ნაძვი-
საგან ამბავი გაეგონათ. ნაძვმა უამბო და თან
უფრო და უფრო ცხოვლად აგონდებოდა
წარსული დრო. „მართლაც რომ მშვენიერი
დღეები იყო ის დღეები“! — ფიქრობდა ნაძვი.
„მაგრამ მე კიდევ მოვესწრები ისეთ დღეებს:
კიდევ მოვესწრები; აი, კლუმპე-დუმპე ხომ
კიბიდგან ჩამოუგდიათ, მაგრამ მაინც ხელ-
მწიფის ქალი უთხოვია. იქნება, მეც ხელმ-
წიფის ქალი ვითხოვო“. ეს რომ სთქვა,
ტყეში რომ პატარა მუხა იდგა, ის გაახ-
სენდა და ახლა მშვენიერ ხელმწიფის ქალად
მოეჩვენა.

„კლუმპე-დუმპე ვილაა“? ჰკითხეს თა-
გვებმა, და ნაძვმა ზღაპარი სულ თავიდან
ბოლომდის უამბო, რადგან თვითეული მისი
სიტყვა დასწავლილი ჰქონდა. თავგები აღ-
ტაცებით ნაძვს თითქმის თავზე ახტებოდნენ.
მეორე დღეს თავგების მთელი ხრო მოვიდა;
კვირა დღეს კი იმათთან ორი ვირთაგვაც
მოგოგდა. ამათ ზღაპარი სულაც არ მოე-
წონათ. ამიტომ თავუნებიც შეწუხდნენ და
თითონაც წინანდელზე ნაკლებად მოიწო-
ნეს.

„ამ ერთი ზღაპარის მეტი ხომ არ იცი“? ჰკითხეს ვირთაგვებმა.

„მეტი არ ვიცი“! უპასუხა ნაძვმა; „ეს ზღაპარი ერთ საღამოს გავიგონე, როდესაც ჩემი თავი ბედნიერი მეგონა, მაგრამ მაშინ კარგად არც კი მესმოდა, თუ რამდენად ბედნიერი ვიყავი“!

„მეტად გულსაკლავი ამბავი გცოდნიათ! ყველის, ან ქონის სანთლის ზღაპარი, ხომ არ იცით, საკუჭნაო ზღაპარი“?

„არა, არ ვიცი“! უპასუხა ხემ.

„მაშ ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!“ და უკრეს ვირთაგვებმა თავი და გაუდგნენ გზას.

ბოლოს თავებიც დაიშალნენ. მძიმედ ამოიოხრა ნაძვმა. „რა კარგი რამ იყვნენ ეგ თავები, გარს რომ შემომისხდებოდნენ და მე ჩემ ზღაპარს მოუყვებოდი ხოლმე. თქვენც მშვიდობითა, თავუნებო! მაგრამ ფიქრად არ არის: საცაა აქედგან გამომიყვანენ და კიდევ გამითენდება ნეტარების დღე!“

რა მოხდა შემდეგ?—ერთ დილას ვილაკები მოვიდნენ და რაც იმ კუთხეში იყო, ყველაფერი მიალაგ-მოალაგეს; სკი-

ვრები სხვა ადგილას გადადგეს, ნაძვიც ამოთხარეს; ახლა მას, ცოტა არ იყოს, უზრდელად ეკიდებოდნენ. ჯერ იქვე მიაგდეს იატაკზე. შემდეგ ერთმა მოსამსახურემ ხელი დააფლო და კიბის ქვეშ ჩაათრია. იქ ცოტაოდენი მზის სინათლე მოჩანდა.

„აი სწორედ ახლა ხელ-ახლად ვიწყებ სიცოცხლეს“! იფიქრა ხემ. გრილმა ნიავმა მოჰბერა, მზის პირველი სხივი დაეცა და მალე ეზოში ამოჰყო თავი. ყველა ეს ისე მსწრაფლ მოხდა, რომ ხეს არც კი გახსენებია, თავის თავისთვის შეეხედნა: ირგვლივ ბევრი რამ იყო თვალის გამტაცო. ეზოს გადაღმა ბაღი მოჩანდა, უცხოდ აყვავებული. ბაღის დაბალ ღობეზე ახლად გაშლილი ვარდები ჩამოკიდებული იყვნენ. ცაცხვები ჰყვავოდნენ და ჰაერში მერცხლების საამური ჭიკჭიკი გაისმოდა: მაგრამ ამ ჭიკჭიკით ისინი ნაძვს როდი ესალმებოდნენ!

„აი, ახლა კი გავცოცხლდით!“ იფიქრა ნაძვმა და შორს გაშალა თავის შტოები. ღმერთო, შტოები მთლათ დაჰხმობოდა და დაჰყვითლებოდა. თვითონ ნაძვი სადღაც მტვერში და ნაგავში ეგდო; წვერზე ოქროს

ვარსკვლავი ჯერ კიდევ მიბმული ჰქონდა და მზეში ლამაზად პრიალებდა.

ეზოში ორი პატარა ბავშვი მხიარულად თამაშობდა. ეს ის ბავშვები იყვნენ, რომლებიც სხვებთან ერთად შობა-ლამეს ნაძეს აგრე დაჰხაროდნენ და დასტრიალებდნენ. ერთი იმათგანი აბლა ხისაკენ გაექანა და ოქროს ვარსკვლავი ჩამოაწყვიტა.



„დახე, რა შერჩენია ამ საძაგელ ნაძეს! — წამოიძახა ბავშვმა და ისე მაგრად დააბიჯა

ხეს ფეხი, რომ მის შტოებს ტკაცუნნი გაჰხდა..

ნაძვმა ტურფად აყვავებულ ბალს თვალი გადაავლო, თავის თავსაც გადაავლო. თვალი და ისევ ის ბნელი, მივიწყებული კუთხე ინატრა. მოაგონდა თავისი სიყმაწვილე ამწვანებულ ტყეში, ბედნიერი შობა-ღამე, მოაგონდა პატარა თავგები, რომლებიც კლუმპე-ღუმპეს ზღაპარს აღტაცებით უსმენდნენ.

„მშვიდობით, მშვიდობით!“ ამოიოხრა საწყალმა ხემ. „ნეტა მაშინ მაინც ისე მეხარებია ჩემი გული, როგორც რომ შემეძლო. ახლა კი მშვიდობით, მშვიდობით!“...

გამოიტანა მოსამსახურემ ცული და ნაძვი ნაკუწ-ნაკუწად აქცია; მთელი მისი კონა სამზარეულო ქვაბ ქვეშ აინთო. მწარედ სუნთქავდა ნაძვი და ყოველ მის სუნთქვაზე ისეთი ხმა ისმოდა, თათქო პატარა თოფი ისროდესო. ამ ხმაზე ყმაწვილებმა გარედ თამაშს თავი დაანებეს, შემოცვივდნენ სამზარეულოში, ცეცხლს შემოუსხდნენ, მისცქერებოდნენ და იძახდნენ: „ტკაც-ტკუც!“ ტკაცუნნი სულთქმა იყო ნაძვის შტოებისა და ყოველ სულთქმა-

ზე აგონდებოდა მას ხატხულის დღეები ტყეში, ზამთრის ღამეები გარედ, ცაზე ვარსკვლავების კაშკაში. აგონდებოდა შობა-ღამე. „კლუმპე-დუმპეს“, ერთად ერთი ზღაპარი, რომელიც მას მთელ თავის სიცოცხლეში გაეგონა და დაესწავლა. ნადვი მალე დაიწვა.

ყმიწვილები კი ისევ ბაღში ცელქობდნენ. უნცროსს გულზე ის ოქროს ვარსკვლავი ერქო, რომელიც ბედნიერ შობა ღამეს ნაძვს ამკობდა. ამ ღამემაც გაიარა. დასრულდა ნაძვის სიცოცხლე, თავისი ზღაპრითა...

ყველაფერი გაივლის, ყველაფერს ბოლო მოეღება ამ წუთი-სოფელში.





ღიანის მწეკში.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი პრინცი; მას ჰქონდა ერთად ერთი სამთავრო და ისიც ერთი-ბევრი, მაგრამ იმდენად პატარაც არა, რომ ამ სამთავროში ცოლის შერთვა შეუძლებელი ყოფილიყო. პრინცს-კი ძალიან უნდოდა ცოლის შერთვა.

თუმცა მისი მხრით დიდი კადნირება იქნებოდა მეფის ქალთან რომ მისულიყო და ეკითხა: „გსურს, ცოლად წამომყევო“-?

მაგრამ პრინცმა გაბედა, მით უმეტეს, რომ სახელი შორს ჰქონდა გავარდნილი. მრავალი მთავრის ქალები დიდას სიხარულით მიუვებდნენ: დიახაც მსურსო. მაგრამ მეფის ქალმა მისცა თუ არა ამისთანა პასუხი?

აბა, ვნახოთ.

პრინცის მამის საფლავზე ერთი ვარდის ბუჩქი იყო ამოსული; საუცხოვო რამ იყო ეს ბუჩქი. ხუთ წელიწადში ერთხელ აყვავდებოდა ხოლმე და მაშინაც კი ზედ ერთად ერთი ვარდი გაიშლებოდა. მაგრამ რა ვარდი? ასეთი მშვენიერი სუნი უდიოდა, რომ ადამიანს, რაც ნალველი და ჯავრი ჰქონდა, სრულიად უქარწყლებდა. ამ ბუჩქს თავის ბუღბუღლიც ჰყავდა, რომელიც ისე მშვენივრად გალობდა, თითქო სუყველა საუცხოვო ჰანგებს მის პაწაწა ყელში მოეყარათ თავი. პრინცმა გაღასწყვიტა, ეს ვარდი და ბუღბუღლი მეფეს ქალისთვის საჩუქრად მიერთმია. ჩასვა ისინი ვერცხლის ღიღრონ ყუთებში და გაუვზაენა.

მეფემ ბრძანა, ეს ნივთები სასახლის დარბაზში შემოეტანათ, სადაც იმ დროს მეფის ქალი თავის ფრეილინებს მართლმოდ-

ბიას ეთამაშებოდა. მეფის ქალმა რომ სა-
ჩუქრებიანი ვერცხლის ჭურჭლები დაინა-
ხა, სიხარულისაგან ტაში დაჰკრა.

— ახ, ნეტავი პატარა კატუნია იქნე-
ბოდეს შიგ! — სთქვა მან... მაგრამ ამ
დროს ჭურჭლიდგან ვარდი ამოიღეს.

— რა ლამაზადაა გაკეთებული! — სთქვეს
ყველა ფრეილინებმა.

— ლამაზად კი არა, — შენიშნა მეფემ,
— სწორედ მშვენივრად არის.

ამ დროს მეფის ქალმა ვარდს ხელი შე-
ახო და კინალამ ატირდა.

— ფუ! მაშილო, — უთხრა მან: — ეს ხე-
ლოვნური ვარდი კი არ არის, ნამდვილია.

— ფუ! — განიმეორეს ფრეილინებმა,
ნამდვილი ვარდი ყოფილა!

— მოიამინეთ, ჯერ ნუ ჯავრობთ. ვნა-
ხათ მეორე ჭურჭელში რა არის, — შე-
ნიშნა მეფემ. ამ დროს ბულბულიც ამო-
იყვანეს. ბულბულმა ისე მშვენივრად, ისე
საუცხოვოდ იგილობა, რომ არავის არ
შეეძლო მისთვის რამე წინი დაედვა.

— Superbe! Charmant! *) შეჰყვირეს

*) ჩინებულია, საუცხოვოა! (პოარკმ.)

ფრეილინებმა, რადგანაც ყველა ტიკტიკობდა ფრანგულად, ყველა ცუდად და ერთმანერთზედ უარესად.

— რა ნაირად მაგონებს ეს პატარა ჩიტუნია, — სთქვა ერთმა ბებერმა სასახლის მოსამსახურე კაცმა, განსვენებულის ჩვენის დედოფლის პატარა საკრავის ხმას. სწორედ ის კილოა, ის ჰანგი. — მართალია, სთქვა მეფემ და ატირდა, როგორც ბავშვი.

— იმედია, რომ ეს ნამდვილი ჩიტი არ უნდა იყოს? — იკითხა მეფის ქალმა.

— სწორედ, ნამდვილი გახლავთ. — მიუგეს ბუღბუღლის მომყვანმა კაცებმა.

— მაშ გაფრინდეს თავისთვის, სადაც უნდა. სთქვა მეფის ქალმა. და აღარ ინდობა, რომ პრინცი ჩამოსულაყო. პრინცი ამ საქციელმა ვერ შეაშინა. გაითხუპნა სახე შავი და წითელი საღებავით, თვალებზე ქუდი ჩამოიფხატა, მოვიდა მეფის სასახლესთან და კარი დააკაკუნა.

— გამარჯვება, მეფევ! — უთხრა მან. — არ შეიძლება, რომ რამე ადგილი მიბოძოთ იქვენს ციხე-დარბაზში?

—იცი რა,—უთხრა მეფემ: ბევრი მთხოვეს ადგილს, და ამიტომ არ ვიცი, შენი საქმე როგორ მოეწყობა. მე ვფიქრობ შენზე... მაგრამ მოიცა, მოიცა, ეხლა გამახსენდა, რომ ლორის მწყემსი მეჭივრება, რადგანაც ბევრი, ძალიან ბევრი ლორები მყავს.

აი, ამნაირად პრინცი ლორის მწყემსი გახდა. ბინად ერთი პატარა საძაგელი ოთახი მისცეს, სალორის გვერდით. პირველს დღეს დილიდგან სალამომდის მუშაობდა, სალამოზე კი ერთი პატარა, ლამაზი, ირგვლივ ეჟენებჩამობმული, ქოთანის გააკეთა. როცა ქოთანში წყალი დუღილს დაიწყებდა, ეჟენები აჟღერდებოდნენ და მშვენიერის ტკბილის ხმით ძველს სიმღერას უკრავდნენ.

ახ, სულო, გულო, ავგუსტინ,
დრონი იცვალნენ. იცვალნენ!

მაგრამ ამ ქოთნის უფრო საკვირველი თვისება ის იყო, რომ, თუ კი მის ორთქლზე თითს დაიჭერდით, მაშინათვე სუნით გამოიცინობდით, სად რანაირი საქმელები მზადდებოდა მთელ ქალაქის სამზარაულოებში. ცხადია, რომ ეს ქოთანი უბრალო ვარდს არ ჰგავდა.

ერთხელ მეფის ქალმა თავის ფრეილინებით. ღორის მწყემსის ოთახის ახლო ჩაიარა. სიმღერის ხმა რომ გაიგონა, შეჩერდა და მხიარულად გაიღიმა, იმიტომ, რომ თითონაც იცოდა ამისი დაკვრა:

ახ სულო, გულო, ავეუსტინ!

ეს ერთად ერთი პიესა იყო, რომელიც იცოდა, მაგრამ ერთი თითით უკრავდა.

— ეს, მე რომ სიმღერას უკრავ, ისაა, — სთქვა მან. ეს ღორის მწყემსი განათლებული კაცი უნდა იყოს. მიდით, ჰკითხეთ, რა ღირს ეს მისი საკრავი. მეტი გზა არ იყო, ერთი ფრეილინა უნდა ჩასულიყო სარდაფში ღორის მწყემსთან, მაგრამ ამისთვის ხის ქოშები ჩაიცვა.

— რამდენი გინდა შენი ქოშის ფასად? ჰკითხა ფრეილინამ.

— მეფის ქალის ათი კოცნა, — უპასუხა ღორის მწყემსმა.

— ღმერთო, დამითარე! — შეჰყვირა ფრეილინამ.

— ნაკლებ არ დაგიჟობ, — უთხრა ღორის მწყემსმა.

— აბა, რა პასუხი მოგცა? — დაეკითხა მეფის ქალი.

— მოხსენებასაც კი ვერ ვბედავ, — უთხრა ფრეილინამ.

— მაშ, აბა ყურში ჩამიჩურჩულო.

ფრეილინამ აასრულა ბრძანება.

— ბრიყვი! — სთქვა მეფის ქალმა და გაუდგა გზას, მაგრამ გადადგა თუ არა რამოდენიმე ბიჯი, ეყენებმა ისევ მშვენივრად დააქლარუნეს.

ახ, სულო, გულო, ავგუსტინ,

.. დრონი-იცვალნენ, იცვალნენ!

— იცი რა, — უთხრა მეფის ქალმა, — წადი; ჰკითხე, იქნება ჩემი ფრეილინების ათი კოცნა იყაბულოს.

— დიდად გმადლობთ, — მიუგო ღორის მწყემსმა ამ თხოვნაზე. მეფის ქალის ათი კოცნა, თუ არა და ქოთანს არ მოგცემ.

— უჰ, რა უხალისო საქმეა! — სთქვა მეფის ქალმა. მაგრამ, რა კი აგრეა, თქვენ ირგვლივ უნდა შემომერტყათ, რომ არავინ დამინახოს.

ფრეილინები გარს შემოემწყრივნენ, გასწიეს თავიანთ კაბის კალთები და ღორის მწყემსმა მიიღო ათი კოცნა, მეფის ქალმა კი — ქოთანი. რა სიხარული ჰქონდათ!

მთელი საღამო და მეორე დღე ქოთანში გაუწყვეტლად ადუღებდნენ წყალს. და მთელ ქალაქში აღარ დარჩენილა იმის-თანა სამზარეულო, კამერჰერის სამზარეუ-ლოდან დაწყებული. უბრალო ხარაჯისა-მდის, რომ მეფის ქალს და ფრეილინებს არ შეეცყოთ, სად რა საკმელი იხარშე-ბოდა. ფრეილინები დახტოდნენ და ტაშს უკრავდნენ.

— ჩვენ ვიცით, ვინ სჭამს ტკბილ წვესს და ერბო-კვერცხს, ვისას ამზადებენ ფლავს და მწვანის... ოჰ, რა საინტერესოა ეს, რა საინტერესოა!

— სწორედ ძალიან საინტერესოა! შე-ნიშნა უფროსმა სეფე ქალმა.

— ჰო. მაგრამ გაფრთხილდით, ენას კბილები დააჭირეთ, გახსოვდეთ, რომ მე მეფის ქალი ვარ.

— რასაკვირველია! ამას რაღა თქმა უნ-და.— უთხრეს ყველამ ერთად.

ლორის მწყემსი, ესე იგი პრინცი, ისე დღეს არ გაუშვებდა, რომ რამე არ გაეკეთებინა. ამ ნაირად ერთხელ ერთი ჭრილა გააკეთა, რომელიც, როცა დაა-ტრიალებდნენ, რაც კი ვინმეს ქვეყნის

გაჩენიდგან ვალსი, გალოპი თუ პოლკა გამოუგონებია, ყველას უკრავდა.

— აი, ეს superbe!, სთქვა მეფის ქალმა, როცა ახლოს ჩაიარა, — ამაზე უმშვენიერესი მუსიკა თავის დღეში არ გამიგონია. წადი, ერთი ჰკითხე, რა ღირს, მაგრამ კოცნით. კი მეტს აღარ ვაკოცებ.

— მეფის ქალის ასი კოცნა უნდა, — მოახსენა დაბრუნებულმა ფრეილინამ.

— ის სწორედ გიყი უნდა იყოს! — სთქვა მეფის ქალმა და გაუდგა გზას, მაგრამ, ვადადგა თუ არა რამდენიმე ბიჯი, შეჩერდა. — ხელოვნება კაცმა უნდა წააქეზოს, — შენიშნა მან. — მე კი მეფის ქალი ვარ. უთხარი, რომ ჩემგან ათ კოცნას მიიღებს და დანარჩენი შეუძლია ჩემი ფრეილინებისაგან მიიღოს.

— ეს ჩვენ სრულიადაც არ გვეპრიანება, — იყვირეს ფრეილინებმა.

— არაფერია! — უთხრა მეფის ქალმა, — მე თუ კი ვკადრულობ მის კოცნას, თქვენ ვილა ბრძანდებით? ნუ დაივიწყებთ, რომ მე თქვენ გარჩენთ და ჯამაგირს გაძლევთ.

მეტი ღონე არ იყო, ფრეილინები ხელახლად წავიდნენ ღორის მწყემსთან.

— მეფის ქალის ასი კოცნა, — განი-
შეორა მან, — ნაკლებს არ ვიყაბულებ.

— აბა, დამიდექით ირგვლივ! — უთხრა



მეფის ქალმა. ფრეილინები ჩამწკროვდნენ

გარშემო და ღორის მწყემსმა მეფის ქალს
კოცნა დაუწყო.

— ეს რა ხალხია საღორესთან თავმო-
ყრილი? სთქვა გულში მეფემ, რომელიც
ამ დროს ჩარდახზე გამოვიდა. ამოიფშენიდა
თვალები და ცხვირზე სათვალეები ჩამო-
იცვა.

— ეს ხომ ჩვენი ფრეილინები გიჟობენ;
წავიდევნო, ვნახო, რა ამბავი აქვთ.

მეფემ საჩქაროდ გაიხადა წალები, ჩაიკვია
ფოსტლები, მერე ჩამოვიდა ეზოში და
ჩუმად მიეპარა ფრეილინებს. ისინი კი
იმდენად იყვნენ კოცნის თვლაში გარ-
თულნი, რომ მეფე სრულიად ვერ შე-
ნიშნეს.

— ეს რა ამბავია?—დაიყვირა მან, როცა
დაინახა, რომ ისინი ჰკოცნიან ერთმანერთს,
და თავის ქალს თავში ფოსტალი სთხოიშა
სწორედ იმ დროს, როცა ის ოთხმოცდა
მეექვსეთ ჰკოცნიდა მელორეს.

— დაიკარგეთ აქედგან!—უბრძანა სა-
შინლად გულ-მოსულმა მეფემ. მეფის
ქალი და ღორის მწყემსი ორთავე სა-
ხელმწიფოდგან გარეკეს.

მეფის ქალი იდგა და ტიროდა. ღორის მწყემსი დასცინოდა. წვიმა კი კოკის-პირულად ასხაძდა იმათ თავზე.



— ახ, რა უბედური ვარ! — ამბობდა ქალი. — რატომ არ წავყევი ცოლად მშვენიერს პრინცს! ღმერთო ჩემო, რა უბედური ვარ!

მაშინ ღორის მწყემსი მივიდა ხესთან, ამოეთარა მას, დააბანა პირი, შავი და წი-

თელი საღებავები, რასაკვირველია, მო-
შორდა, გაიხადა ძონძები და სამეფო ტანი-
სამოსით შემოსილი გამოვიდა. ისეთი დი-
დებული შეხედულობა ჰქონდა, რომ მე-
ფის ქალი უნებურად დაიხარა მის წინ.

— შენი საქციელით იქამდის მიმი-
ყვანე, რომ ეხლა თვალის დასანახავად მე-
ჯავრები! უთხრა მან ქალს.— შენ არ წაჰ-
ყვი — ცოლად ყველასაგან პატივცემულს
პრინცს. ვარდის და ბუღბულის სიმშვე-
ნიერე ვერ იცანი, და უბრალო სათა-
მაშოების გულისთვის ღორის მწყემსს კი
ჰკოცნიდი. აი, სამაგიერო ჯილდო შენთვის
ეს არის! სთქვა და გაემართა თავის სამ-
თავროში. მეფის ქალს აი სწორედ ეხლა
უნდა ემღერა:

ახ სულო, გულო, ავგუსტინ,
დრონი იცვალნენ, იცვალნენ!



ო ღ ე - ღ უ კ - ო ი .

მრთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოება იმისთანა ადამიანი, რომ იმდენი ისტორიები იცოდეს, რამდენიც ოლე-ლუკ-ოიმ იცის. დასასრული არა აქვს მის ამბებს.

სალამოზე, როცა ყმაწვილები ჯერ ისევ მართებულად უსხედან მაგიდას თავიანთ პატარა სკამებზე, მოდის ოლე-ლუკ-ოი. ის ჩუმი ნაბიჯით ამოცოცდება ხოლმე კიბეზე, წყნარად ხურავს კარებს და ბავშვებს თვლებში ტკბილ რძეს აპყურებს, — აპყურებს თავაზიანად, ფრთხილად, მაგრამ მაინც ისე ღონივრად, რომ

ყმაწვილებს თვალები ეხუჭებოდათ და ამიტომ მას ვერასოდეს ვერა ხედვენ. მერმე მიეპარება და კეფაზე სულს უბერავს, რის გამოც იმათ თავი უმძიმდებათ. მაგრამ ეს საშაში არ არის, ოლე-ლუკ-ოის ბავშვები შალიან უყვარს და თავს არ ატყენს ხოლმე. მას მხოლოდ ის უნდა, რომ წყნარად იყვნენ და ისინი კი მხოლოდ მაშინ დაწყნარდებიან, როცა ლოგინში ჩაწვებიან. იმათი დაწყნარება კი ოლე-ლუკ-ოის იმიტომ უნდა, რომ მოუჯდეს და ზღაპრები უამბოს.

როდესაც ყმაწვილებს ჩაეძინებათ, ოლე-ლუკ-ოი მაშინვე ჩაუჯდება პატარებს ლოკინში. ლამაზად მორთულია: აბრეშუმის სერთუკი აცვია, მაგრამ რა ფერისაა ეს სერთუკი, კაცი ვერ გამოიცნობს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ საითკენ მოტრიალდება მეზღაპრე, სერთუკსაც ფერი ყოველ მოტრიალებაზე მწვანედ, წითლად და ხან ცისფრად ეცვლება ხოლმე. იღლიეებში მას თითო ქოლგა აქვს ამოჩრილი: ერთს იმათაგანს, რომელზედაც ლამაზი ნახატებია მოქარგული, გაშლის და კე-

თილ ბავშვებს ახურავს. მაშინ იმათ მრთელი ღამე საუცხოვო, მშვენიერი ზღაპრები ესიზმრებათ. მეორე ქოლოგაზე კი სრულიად არაფერი არ არის გამოხატული. ამ ქოლოგას ის ცუდს ბავშვებს ხურავს. იმათ მთელ ღამეს მკვდარივით სძინავთ ხოლმე და სრულიად არაფერი არ ესიზმრებათ.

ყური უგდოთ ეხლა, რას უამბობდა ოლე-ლუკ-ოი ერთს პატარა ბიჭს, სახელად ჰიალმარს, რომელთანაც მთელის ერთის კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს მოდიოდა. რადგანაც კვირაში შვიდი დღეა, ჩვენც შვიდს ზღაპარს გავიგონებთ.





მ რ შ ა ბ ა თ ი .

— აბა ყური მიგდე! — უთხრა ოლე-
ლუკ-ოიმ სალამოზე ჰიალმარს, როცა ლო-
გინში ჩააწვინა. ეხლა აქაურობას დავალა-
გებ.

სთქვა თუ არა ეს, ყველა ყვავილები
ქოთნებში დიდრონ ხეებად გადაიქცნენ,
მათი მშვენიერი და გრძელი შტოები მა-
ლალ კედლებზე სულ ქერამდის გაიშალა
და დათარა ისინი. მთელი ოთახი მშვე-
ნიერს მხიარულს ბაღს დაემსგავსა. შტოები
თავიდგან ბოლომდის ყვავილებით შეი-

მოსა. ყოველი ყვაველი ვარდზე უმშვე-
ნიერესი იყო და საუცხოვო სუნი უდი-
ოდა. გემოთი კი ყოველ შაქრის კვერზე
უტკბესი იყო. აუარებელი ხილი ოქრო-
სავით ბრქყვიალებდა, და აქვე მხიარუ-
ლად გამოიციქირებოდნენ ლამაზ-ლამაზი
ხაქაპურები, რომლებიც შიგ ბლომად ჩარ-
თული ქიშმიშისაგან სქდებოდნენ. აჰ, რა
მშვენიერობა რამ იყო აქაურობა, რა საუ-
ცხოვო! მაგრამ სწორედ ამ დროს უჯრაში,
სადაც ჰიალმარის სამოსწავლო წიგნები
ეწყო, ერთი საზარელი ხმაურობა და ტი-
რილი ასტყდა.

— ეს რა ამბავია?—სთქვა ოლე-ლუკ-
ოიმ,—მივიდა მაგიდასთან და უჯრა გა-
მოსწია. ხმაურობა ასპიდის საარითმეტრიკო
დაფაზე იყო. თურმე ნუ იტყვით, ანგა-
რიშში შეცდომა შეპაროდათ და ეხლა ამის-
თვის ციფრები სცემდნენ და სჩქმეტდნენ
ერთმანერთს; დაფაზე მიბმული ღრიფილი
პატარა ფინიასავით ხტუნაობდა და ფუს-
ფუსობდა თავის წვრილ ლენტზე, უნ-
დოდე შეცდომა გაესწორებინა, მაგრამ არ
შეეძლო. აქ ასტყდა კიდევ ისეთი გულ-

საკლავი ტირილი ჰიალმარის სუფთად საწერ რვეულში.—ოჰ, რა საზიზღარი და საძაგელი საყურებელი იყო! თითოეულ ფურცლის ყოველ გვერდზე, ქვემოდგან დაწყებული მაღლამდის, ასო მთავრული აღიოდა და ყოველ მათგანს გვერდში თითო პატარ-პატარა ასო უდგა. ეს იყო დედანი. მათ სიახლოვეს კი სხვა ასოები იდგნენ, რომლებიც ვითომ პირველს უნდა ჰგევანებოდნენ. ეს ასოები ჰიალმარს დაეწერა. საგრამ ისინი მთლად დახრილები და დაზნექილები იდგნენ.

— აი, როგორ უნდა იდგეთ,—ეუბნებოდა დედანი—ხედავთ: აქეთ მხარეს, და თამამად უნდა გეკიროთ თავი.

— ახ, ჩვენც ძალიან გულით გვინდა—მიუგეს ასოებმა,—მაგრამ არ შეგვიძლია: ძლიერ სუსტები ვართ.

— რაკი ასეა, მაშ მე საყმაწვილო წამალს დაგალევინებთ, უთხრა ოლე-ლუკოიძე.

— ოჰ, არ გვინდა, არა!—შეყვირეს ასოებმა და ისე ჩამწყრივდნენ, რომ თვალს იამებოდა.

— აბა, ჩვენ ეხლა საზღაპროდ აღარ გვცალიან,—სთქვა ოლე-ლუკ-ოიმ.—ეხლა ამათ უნდა მიუჯდე და ვასწავლო. ერთი, ორი!—ერთი, ორი! უბძანებდა ოლე-ლუკ-ოი ასოებს და ისინიც ისე მწყობლად და ლამაზად დადგნენ, როგორც დედანში დგანან ასოები. მაგრამ, როდესაც ოლე-ლუკ-ოი წავიდა და ჰიარმალმა დილით თავის ასოებს დახედა, ისინი ისევ ისე საწყლად დაუხვდნენ, როგორც წინად იყვნენ.



ს ა მ უ ა ბ ა თ ი .

ჩაწვა თუ არა ჰიალმარი ლოგინში, ოლე-ლუკ-ოიმ იმ წამსვე თავისის პაწია

გრძნეულის საპკურებლით, ოთახის ავეჯი მოაპკურა. ავეჯმა მაშინათვე ენა ამოიდგა, ატიკტიკდა და მოჰყვა თავის თავზე ლაპარაკს. დაჩუმებული იყო მხოლოდ საფურთხებელი ქურქელი; ის იდგა ხმა-გაკმენდილი და გული მოსდიოდა. დანარჩენი ავეჯი იმდენად თავ მომწონე გამოდგა, რომ მარტო თავის თავზე ზრუნვისა და ლაპარაკის შეტი აღარათერი ახსოვდა და არავითარს ყურადღებას არ აქცევდა იმას, ვინც ისე წყნარად იდგა თავისთვის კუთხეში და ყველას ნებას აძლევდა შიგ ჩაეფურთხებინა.

კამოდის ზემოთ, ოქროს ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული, დიდი ნახატი ეკიდა, ზედ პეიზაჟი იყო გამოხატული და წარმოადგენდა უზარ-მაზარ ხეებს, მალალ და ხშირ ბალახებში ამოსულ ყვავილებს, დიდ მდინარეს, რომელიც ტყეს გარშემო უვლიდა, მრავალი ციხე დარბაზების ახლო მიმდინარეობდა და მერმე თვალ-უწვდენელს ზღვას ერთვოდა.

ოლე-ლუკ-ოი თავისი პაწაწკინა საპკურებლით შეეხო ნახატს და თვალის დახამ-

ხამებაში ზედ დახატული ჩიტები აჭიკჭიკ-
დნენ, უშველებელ ხეების შტოები შე-
ირხა და შავი ღრუბლები გაჰქანდნენ ცაზე.
მათი ჩრდილი კი ნამდვილად მისცურავდა
პეიზაჟზე.

შემდეგ ოლე-ლუკ-ოიმ აიყვანა პატარა
ჰიალმარი ჩარჩოსთან და ფეხებით სწო-
რედ იმ ადგილას ჩააყენა ნახატში, სადაც
მაღალი ბალახი იყო ამოსული. პაწია ბიჭი
რამდენსამე წამს იდგა ხეებში, მზის სხივე-
ბით გაბრწყინვებული. მერე გაჰქანდა
წყლისაკენ და ნაპირზე მოცურებულ პა-
ტარა ნავში ჩაჯდა. ნავი წითლად და
თეთრად შეღებილი იყო, იალქანი ვერ-
ცხლსავით ბჭყვრიალებდა და ექვსმა ოქ-
როს ყელსაბმულიანმა გედმა ნავი ტყესთან
მიაცურეს, სადაც ხეები სხვა და სხვა
ნაირ ავაზაკებზე და კუდიანებზე მუსაი-
ფობდნენ, ყვავილები კი პაწაწკინა მშვე-
ნიერ ელფებზე და იმაზე, თუ რა უამბეს
მათ პეპელებმა.

მშვენიერი, ოქრო და ვერცხლივით
ბჭყვრიალა ქერწლიანი თევზები მისცუ-
რავდნენ ნავთან, ხან-ღის-ხან შეახტუ-

ბოდნენ და აშხაპუნებდნენ წყალს. ცაში ფრინვლების ორი გრძელი მწკვრივი მოფრინავდა, წითელი და ლურჯი, დიდრონი და პატარები; კოლოები ცეკვავდნენ ჰაერში, ბუზები ბზუოდნენ: „ზუმ, ზუმ“. ყველას უნდოდა ჰიალმარის ხლება და სუყველას ზღაპარი მომზადებული ჰქონდა.

მშვენიერი მგზავრობა იყო! ხან ხშირი და დაბურული დიდებული ტყეები მოჩანდა, ხან ამათ უცხო, მშვენიერი ქვით გაბრწყინებული და ყვავილებით მორთულ-მოკაზმული ბაღები სცვლიდა ხოლმე. შიგა და შიგ ქიქისა და მარმარილოს ქვისაგან აგებული ციხე დარბაზები იყვნენ ამართულნი, ჩარდახებზე ყველგან მუფის პატარა ქალიშვილები იდგნენ. ჰიალმარი ყველას კარგად იცნობდა. ათასჯერ უთამაშნია იმითთან ერთად. ქალებს ხელები მოაჯირებში გამოეყოთ და ორსავე ხელებში თითო ასეთი მშვენიერი და გემრიელი შაქრის კვერი ეჭირათ, რომლის მზგავსს შაქრის-კვერებით მოვაჭრე ქალი ხან-დის-ხან საგანგებოდ თუ გაყი-

დის ხოლმე. როცა ჰიალმარი მეფის ქალიშვილთან მიაწევდა, შაქრის კვერის ერთ კიდეს ჩაავლებდა ხელს და გასწევდა. ქალიშვილს მაგრად ეჭირა მეორე კიდე; თაფლის კვერი ტყდებოდა და ორივეს ხელში თითო ნაქერი რჩებოდათ. ქალს, რასაკვირელია, სულ პაწაწკინა ნაქერი— ჰიალმარს კი დიდი. ყველა ციხე-დარბაზის წინ დარაჯებად პრინცები იდგნენ, ხელში სავარჯიშოდ ყველას ოქროს ხმალი ეჭირა, ქაშმიშსა და კალის პატარა სათამაშო ჯარის კაცებს კი უხვად აპნევდნენ იქით აქით: ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ ნამდვილი პრინცები იყვნენ.

ჰიალმარი მისცურავდა ხან ტყეში, ხან დიდრონ დარბაზებ შუა, ხან ქალაქებში; გაიარა ის ქალაქიც, საცა მისი გადია სცხოვრებდა, რომელიც პატარაობისას ხელში ატარებდა და ყოველთვის ეალერსებოდა ხოლმე. გადია უქნევდა თავს, ესალამებოდა და ერთხელ რომ ჰიალმარს თავის შეთხზული მშვენიერი ლექსი გამოუგზავნა, იმას უმღერდა:

ყოველ წამს გულში მიზიხარ,
ჩემო სულიკო, ქირიმე!
პაწია პირ-შუბლ-წამწამი
კოცნითა გამიზრდია მე.
შენმა ტიკტიკმა პირველმა
ჩემს გულს მოჰფინა სიამე....
შორს მყოფსა ღმერთი გფარვიდეს,
ჩემო სულიკო, ქირიმე!

ყველა ჩიტები გადიას ბანს აძლევდნენ,
ყვავილები ცელქობდნენ და თამაშობდნენ
თავიანთ ღეროებზე. უზარ-მაზარი ბებერი
ხეები მხიარულად თავს აქნევდნენ, თითქო
ოღე-ლუკ-ოი იმათაც ზღაპარს უამბობსო.





მ თ ხ შ ა ბ ა თ ი

ღმერთო, რანაირად ასხამდა წვიმა! ჰიალმარს ძილში ესმოდა მისი ლაპა-ლუპი, და როდესაც ოლე-ლუკ-ოიმ ფანჯარა გააღო, წყალი ისე ადიღებულობდა, რომ ფანჯრის თარომდის სწვდებოდა. თითქო ქუჩაზე ზღვა აღელვებულაო. მაგრამ ზედ სახლის კედელთან იმისთანა მშვენიერი და დიდი გემი იდგა, როგორც შეგიძლიათ მხოლოდ წარმოიდგინოთ.

— არ გინდა ცურვა, პატარა ჰიალმარო? — დაეკითხა ოლე-ლუკ-ოი. — ოუ გსურს შეგიძლია ამაღამ უცხო ქვეყნები მოიარო და ხვალ ისევ დაბრუნდე შინ. იმ წამსვე სადღესასწაულო ტანისამოსით ნორთული ჰიალმარი დიდებულ გემზე გაჩნდა.. ამ დროს

დარიც მშვენიერი დაღვა და გემი გაუ-
ღვა გზას. მისცურავდა ქუჩებში, ეკლესი-
ების ახლო და ჩქარა თვალ უწვდენელ
ზღვის გარდა ირგვლივ არაფერი მოჩანდა.
მისცურავდნენ დიდხანს, სანამ ხმელეთი
სრულიად არ მოეთვარა თვალს და აქ ისინი
წეროების ვეიბერთელა მწკრივს შეხვდნენ
სამშობლოდგან თბილ ქვეყნებში მიფრი-
ნავდნენ, ერთმანერთს მისდევდნენ და
ეტყობოდნენ, დიდი გზა გამოეწვლოთ. ერთი
წერო ისე დაქანცულიყო, რომ ფრთებს
ძღვეს და იმაგრებდა: საწყალი მწკრივს
ბოლოში მოქცეოდა, და ჩქარა ამხანაგებს
სრულიადაც ჩამორჩა; ბოლოს კი ფრთებ
გაშლილი ძირს დაეშვა, ორიოდეგერ კი-
დევ გაიქნია ფრთები, მაგრამ ღონე აღარ
შესწევდა, არაფერს შეელოდა... აი, აი
დაადგა. თეხი ანძას... გაუსხლტა და და-
ცურდა ძირს იალქანზე. ერთი წუთი კი-
დევ, და წერო გემის ერდოზე იღვა.

ერთმა მატროსმა წაიყვანა და საქა-
თმეში ქათმებთან, იხვებთან და ინდოლუ-
რებთან დაამწყვდია. საწყალი წერო მე-
ტად შერცხვენილი იღვა.

— შეხედეთ ერთი ამ ვაჟბატონს!—
სთქვეს ქათმებმა. კალკუტელი ინდოური
გაიფხურა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა
და დაცინვით ჰკითხა წეროს: სადაური ხა-
რო. იხვები მოერიდნენ და როხ-როხობ-
დნენ. წერო მოუყვა ამბებს ცხელ აფრი-
კაზე, პირამიდებზე, სირაქლემაზე, რომე-
ლიც უდაბნოში ველურის ცხენის სისწრა-
ფით გარბის ხოლმე, მაგრამ იხვებს არ
ესმოდათ მისი სიტყვები და ეროხ-როხე-
ბოდნენ ერთმანერთს:— „ჩვენ ხომ გადა-
წყვეტილი გვაქვს, რომ ეს ბრიყვიაო.“

— დიად, რასაკვირველია, ბრიყვია!—
სთქვა ინდოურმა და ალუღლუღდა. წერო
დაჩუმდა და ისევ თავის აფრიკაზე ფიქ-
რებში გაერთო.

— ე რა მშვენიერი, წვრილი ფეხები
გაქვსთ! — უთხრა ინდოურმა. — რამდენი
მიგიციათ ალაბში?

— ვახ, ვახ, ვახ! როხ-როხობდნენ იხვე-
ბი; მაგრამ წეროს ისე ეჭირა თავი, თო-
თქო არა ესმის რაო.

— არა, გაცინება არ გეკადრებოდათ?—
უთხრა კალკუტელმა ინდოურმა— კაი

მოსწრებული სიტყვა იყო. ან იქნება თქვენ-
თვის ერთობ მალალი და ძნელი მისა-
ხვედრია, ჰა? ხა, ხა, ხა, რა მოუაზრებელი
და ბრიყვი რამ ყოფილა! რა გაეწყობა!
დავრჩებით ყურადღების ღირსი ისევ ჩვენ
საკუთარ საზოგადოებაში.—და გაბრაზე-
ბულმა დაილულულა. ქათმებმა შექნეს
კაკანი, ამას იხვებმაც კვერი დაჰკრეს....
აჰ, რა საზიზღარი სანახავი იყო ამ საზო-
გადოების ძალად მხიარულობა.

ჰიალმარმა კი გასწია საქათმისკენ, გაალო
კარი და დაუძახა წეროს; წერო დაუყოვნე-
ბლივ გემის ერდოზე გამოხტა. ამასობაში
კიდევაც დაისვენა და ეხლა თავს აქნევდა,
თითქო ჰიალმარს მადლობას უხდისო. მერ-
მე გაისწორა ფრთები და გაფრინდა თბილ
ქვეყნებში. ქათმები ისევ კაკანებდნენ,
იხვები როხ-როხობდნენ და ინდოური კი-
ბოსავით გაწითლებულიყო.

— ხვალ წვენიში მოგხარშამთ,—უთხრა
ჰიალმარმა,—და ამ სიტყვებზე თავის პატარა
ლოგინში გამოეღვიძა.

არა, ხომ საუცხოვოდ იმგზავრა პატარა
ჰიალმარმა წუხელ ოლე-ლუკ-ოისთან!



ს უ თ შ ა ბ ა თ ი.

— იცი, რა? — უთხრა ოლე-ლუკ-ოიმ. — მხილოდ არ შეგეშინდეს კი! ამ წამს შენთან პატარა თაგვი გაჩნდება!

და გაუწოდა ჰიალმარს ხელი, რომელმაც პაწია ლამაზი ცხოველი უჯდა. — ქორწილში გეპატიებება! იცი, აქ ორ თაგვს ამაღამ კანონიერად დაქორწილება სურთ. სცხოვრობენ დედაშენის სასადილო ოთახის იატაკის ქვეშ; ბინა უსათუოდ მშვენიერი ექნებათ.

— ძალიან კარგი, მაგრამ იატაკის ვიწრო ხვრელში როგორ გავეტყვი? — დაეკითხა ჰიალმარი.

— ეს ჩემი საქმეა! — უთხრა ოლე-ლუკ-ოიმ. — მე შენ დაგაპატარავებ. — აქ ის შენებო ჰიალმარს თავის გრძნეულის საპკუ-

რებლით, და ჰიალმარი ერთ წამში ნეკის
ოდენი გახდა.—ეხლა ტანისამოსი შეგი-
ძლია კალის სათამაშო ჯარის კაცს გამო-
ართვა. ჩემის ფიქრით, კარგად უნდა მო-
გივიდეს და ამას გარდა, მუნდირი ხომ
მეტად ამშვენებს ადამიანს.

— რასაკვირველია!—სთქვა ჰიალმარმა
და ერთს წამში კობტა კალის სათამაშო
ჯარის კაცსავით მორთული გამოვიდა.

— არ შეიძლება—უთხრა თავუნამ,—
დედა თქვენის სათითეში ჩაბძანდეთ? თუ
ინებებთ, მე პატივი მექნება წავიყვანოთ.

— ახ, თქვენ რად სწუხდებით?—უთხრა
ჰიალმარმა. ამნაირად თავების ქორწილში
გაემართნენ. პირველად, იატაკის ქვეშ
გრძელ მაღალ გალერეაში ამოყვეს თავი,
რომელიც იმ სიმაღლე იყო, რომ თუ არ
სათითეში, სხვა ეტლით გავლა არ შეი-
ძლებოდა. მთელი გზა ფუტუროებით გა-
ჩირალდნებული იყო.

— რა მშვენიერი სუნი დგას აქ, არა?—
დაეკითხა თავვი.—მთელი გალერეა ქონით
არის შელესილი. ამაზე კარგს ადამიანი
სწორედ ვერას წარმოიდგენს.

ბოლოს გაღერვა გათავდა და საქორ-
წილო დარბაზში შევიღნენ. აქ მარჯვნივ
დღდათა სქესის თაგვები იღგნენ, წრიპინე-
ბდნენ და სხაპასხუპით, ეჩურჩულებოდნენ
რალასაც ერთმანერთს. მარცხენა მხარეს
მამაკაცები იღგნენ და პაწაწკინა თითებით
ულვაშებს იგრებდნენ.

შუა დარბაზში, გამოხრულ ყველის ქერ-
ქში მეფე და დედოფალი ბრძანდებოდა
და ამდენ ხალხში გაცხარებული ჰკოც-
ნიდნენ ერთმანერთს. ხომ დანიშნულები
იყვნენ და ჯვარსაც ეხლავე იწერდნენ.
სტუმრები მოდიოდნენ და მოდიოდნენ.
ისეთი ვიწროობა შეიქნა, რომ თაგვები
თითქმის ერთი მეორეზე იღგნენ. ახალ-
გაზრდა ცოლ-ქმარი შიგ კარებში დად-
გნენ და შესვლა გამოსვლა აღარ შეიძლე-
ბოდა. დარბაზიც გაღერეასავით ქონით
შელესილი იყო.

ეს იყო და ეს მთელი მათი მასპინძლობა.
ხილად ერთი მუხუდოს მარცვალი შა-
მოიღანეს და საქმროს. ერთმა ნათესავმა
თაგვმა ახალ დაქორწილებულთა სახე-
ლის პირველი ასოები ამოკენიტა ზედ.

გასაშტერებელი მოსაზრება კი იყო!

თავებმა ერთხმად გამოაცხადეს, რომ ქორწილი მეტად მშვენიერია და დრო ზომ ერთობ სასიამოვნო და მხიარულად გავატარეთო.

შემდეგ ჰიალმარი შინ დაბრუნდა. თქმა არ უნდა, რომ რამოდენიმე საათი უმაღლეს საზოგადოებაში გაატარა, მაგრამ ამის გულისთვის საშინლად უნდა მოკრუნჩხულიყო, სრულიად დაპატარავებულიყო, სათამაშო კალის ჯარის კაცის მუნდირი ჩაეცვა და ეფორთხა.



პარასკევი.

— არ დაიჯერებ, რამდენი ხალხია შენზე ბევრად ხნიერი, რომ ჩემი ნახვა სწყურიათ!—სთქვა ოლე-ლუკ-ოიმ.—განსაკუთრებით იმათ, ვისაც ცული რამ ჩაუდენიათ. „კეთილო, პატარა ოლე!“—მეუბნებიან ისინი:—ჩვენ თვალებს რული არ ეკარება, ვწევართ ასე მთელი ღამე; სრულიად არ გვეძინება და ყველა ჩვენ ბოროტ მოქმედებას ვხედავთ; საზიზღარ პატარა ეშმაკებივით გვისხედან ლოგინში და მდულარე წყალს გვასხამენ ხოლმე.—„ახ, ნეტავ მოხვიდოდე და გარეკდე იმათ, რომ ცოტაოდენი მშვიდობიანი ძილი გველირ-

სოს.“ ამ სიტყვებზე ღრმად ამოიხენეშენ ხოლმე და უმატებენ: „სამაგიეროდ ჩვენ კარგს ფასს მოგცემდით! ღამე მშვიდობისა, ოლე, ფულები ფანჯარაზე აწყვია!“ მაგრამ მე ამაებს ფულის გულისათვის როდი ვშვრები!

— ამაღამ რაღას გავაკეთებთ?—ჰკითხა ჰიალმარმა.

— არ ვიცი, დღესაც გინდა, თუ არა ქორწილში წასვლა. ეს სულ სხვანაირია, გუშინდელს როდი ემგვანება. შენი დის დიღს ტიკინს, ვაჟკაცს რომ ჰგავს და გერმანი ჰქვია, ტიკინის ბერტას ცოლად შეერთვა უნდა. ამას გარდა დღეს კიდევ მის დაბადების დღეა და ბევრს საჩუქრებსაც მიიღებს.

— ვიცი, — უთხრა ჰიალმარმა. — ყოველთვის, როცა ტიკინებს ახალი ტანისამოსი დასჭირდებათ, ჩემი დაჲ მათ დღეობას, ან დაბადების დღეს და ან ქორწილს დღესასწაულობს. ხოლმე. ას-ჯერ მაინც გაუმართავს ამისთანა ქორწილი.

— მართალია, მაგრამ დღეს მე-ას-ერთი ქორწილია და მე-ას-ერთზე კი მას საბუ-

დამოდ ბოლო მოეღება. იმიტომაც სწორედ სამაგალითო ქორწილი იქნება. აბა გაიხედე.

ჰიალმარმა შეხედა მაგიდას. ზედ კარდონის პატარა სახლი იდგა, თანჯრებში სანთლები ანთებული, სახლის წინ კი ყველა კალის სათამაშო ჯარის კაცნი დარაჯებდა. გამწკრივებულიყვნენ და ვარჯიშობდნენ.

მეფე და დედოფალი მაგიდას ფეხებზე მიყრდობილნი ისხდნენ იატაკზე, ღრმა თიქრებში წარსულნი. სიჩუმის მიზეზი, რასაკვირველია, ჰქანდათ. ოლე-ლოუკ-ოი, ბეზის შავი კაბით მოკაზმული, ჯეარს სწერდა იმათ. როდესაც ცერემონია გათავდა, მთელი ოთახის მოწყობილებამ კარანდაშის გამოგონებული მშვენიერი სიმღერა შემოსცა:

გაუარსიდი, ჰინტო ქარაიოთ,
მეფე დედოფლას გუაგუკანის
ტება მიტყინე კიდექე.
დაუკაინტკინეუღო.
კაშა და კაშა!

ბრმა, ურუ ცოლ-ქმარი კერ იძვრის
ბელ-რბილი აქვთ მათ ზამშისა.
რა გუერთ, დალოცვა გვწუერთის
ტურთისა სანასაკისა.

დაგვირგვინებულთ
კაშა და კაშა!

მერე ახალ დაქორწინებულთ საჩუ-
ქრები მიიღეს, მაგრამ საქმელზე უარი
განაცხადეს, რადგანაც თავიანთი სიყვარუ-
ლით იყვნენ მადლარნი.

— ზათხულში სააგარაკოდ გავიდეთ,
თუ სამგზავროდ გავემართოთ?—დაეკითხა
ახალ დაქორწილებული ვაჟი ქალს. რჩევისა-
თვის მიიქცენ მერცხალთან და შინაურ ბე-
ბერ ქათამთან. მერცხალი დიდი ნამგზავრი
იყო და მოუყვა მშვენიერი თბილი ქვეყნე-
ბის ამბებს, სადაც მძიმე და მსხვილ-მსხვილ
მარცვლებიანი მშვენიერი ყურძენი ხარობს,
სადაც ჰაერი გამაცოცხლებელი და საამუ-
რია, სადაც მთები ისე მშვენიერად აფერა-
დებულა, რომ ჩვენში იმის მსგავსს სიზ-
მარშიაც ვერავინ ნახავს.

— ჩვენებური მწვანე კომბოსტო ხომ
იქ სრულიად არ მოიპოვება,— შენიშნა ქა-

თამბა. — მე ერთი ზაფხული ყველა ჩემი წიწილებით სოფელში აგარაკად გავატარი. აქ სილის პატარა გორაკი იყო გაკეთებული. ჩვენ მთელი დღე შიგ ვიქექებოდით; ამას გარდა ბალშიაც გვიშვებდნენ ხოლმე, სადაც მშვენიერი მწვანე კომბოსტო ეთესა... აჰ, რა კარგი რამ იყო ის ბალი! იმის უმშვენიერესი ჩემს სიცოცხლეში აღარაფერი მინახავს!

— ყველა კომბოსტოს ხეიტები, როგორც ორი წვეთი წყალი, ერთმანეთს ჰგავს და ამასთან აქ ხშირად ცუდი ამინდები დგას.

— ამას ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ! — უთხრა ქათამბა.

— აქ სიცივეა, ყინვები იცის ხოლმე.

— ყინვები კომბოსტოს კიდევაც უხდება. — სთქვა ქათამბა, მაგრამ ხანდისხან მოხდება ხოლმე, რომ ჩვენშიაც თბილა. განა ამ ოთხი წლის წინად მთელი ხუთი კვირა არ იყო ამისთანა ზაფხული? ისე ცხელოდა, რომ სუნთქვა გვიჭირდა... ამას გარდა ჩვენში არ მოიძევა იმისთასა უხამიანი ცხოველები, თქვენ ქვეყანაში რომ ბუ-

დობს. ავაზაკები ხომ ჩვენში არავის გა-
უგონია. სწორედ ავი კაცია, ვისაც ჩვენი
მხარე ყველაზე უკეთესად არ მიაჩნია. ის
არც კია იმის ღირსი, რომ ჩვენში იცხო-
ვროს! ამ სიტყვებზე ქათამი ატირდა და
განაგრძო:—მეც მიმგზავრია ერთხელ, ყა-
ფაზაში ჩამწყვდელს. აქედგან თორმეტი
მილი გამივლია, და გარწმუნებთ, რომ მგზა-
ვრობაზე სასიამოვნო არაფერია.

— დიად, ქათამი დიდი გონიერი ქალია!
—სთქვა ტიკინა ბერტამ.—სწორე მოგახ-
ხენოთ, არც მე მეხალისება მთებში მგზა-
ვრობა. იქ მხოლოდ კლდეებს უნდა ებლა-
უქო და იფორთხო აღმა-დაღმა. არა, ჩვენ,
უმჯობესია, ქალაქს გარედ, სილის გორაკ-
ზედ გადავიდეთ და მწვანე კომბოსტოს
ბაღში ვისეირნოთ ხოლმე.

ამ დასკვნით გადასწყვიტეს საქმე.





შ ა ბ ა თ ი

— შიამბოზ დღეს ზღაპარს, თუ არა? —
ჰკითხა ჰიალმარმა, როდესაც ოლე-ლუკ-
ოიმ დააძინა.

ამდამ საზღაპროდ არ გვცალია, — უთხრა
ოლე-ლუკ-ოიმ, და თავისი ლამაზ იქოლგა
გადაახურა ყმაწვილს. — აბა, შეხედე ერთი
იმ ჩინელებს! — ქოლგა ჩინურ დიდ თეფშს
ემსგავსებოდა. ზედ მწვანე ხეები და ვიწ-
რო წვეტიანი ხიდები ეხატა. ყველგან
პაწაწკინა ჩინელები იდგნენ და მხიარუ-
ლად თავს აქნევდნენ.

— სახვლიოდ — სთქვა ოლე-ლუკ-ოიმ,
სრულიად ცა და ქვეყანა უნდა დავაღაგოთ

და მოვკაზმოთ: ხვალ, ხომ იცი, დღესასწაულია, კვირაა. სამრეკლოზე უნდა ავიდე და დავხედო, ფერავენ, თუ არა პაწია კეთილი სულები ზარებს, რომ კარგი ხმა მიეცეს; მინდორშიაც გავალ, შევიტყობ, თუ უბერავს ქარი და აცლის მტვერს ბალახებს და ფოთლებს. მერე კი—ესაა თავი და თავი საქმე—ზეცას ვარსკვლავები დაჯაძრო და დავფერო. მოვკრეფ უველას ჩემ წინ საფარში, მაგრამ პირველად უველას ნომრები უნდა დავასვა და აგრედვე იმ ბუდეებს, რომელშიაც ისინი სხედან, რომ მერე თავთავის ადგილას ჩავსვა, თორემ, აუაირია, მაშინ ვარსკვლავები ბუდეებში მაგრად ვერ ჩაჯდებიან და ერთობ ბევრი მოწყვეტილი ვარსკვლავი გვექნება, იმიტომ რომ, რაკი ერთი ჩამოვარდება, მერე სუყველა ჩამოცვივა ერთი მეორეზე.

— იცით, რა მოგახსენოთ, ბატონო ოლე-ლუკ-ოი!—უთხრა ერთმა ძველმა სურათმა, რომელიც იმ კედელზე ეკიდა, საცა ჰიალმარის იწვა:—მე ჰიალმარის პაპის პაპა გახლავარ; თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რომ მოდიხართ და ბავშვს ზღაპრებს

ეუბნებით, მაგრამ ბავშვს გონება როდი უნდა გაურყენათ. ვარსკვლავების მოკრეფა ციღვან და დაფერვა არ შეიძლება. ვარსკვლავები ჩვენ დედამიწასავით მს. აფლიო ბურთებია და სწორე მოგახსენოთ, მათა ღირსებაც ეს არის.

— უმორჩილესად გმადლობ, ბებერო პავე! — მიუგო ოლე-ლუკ-ოიმ: გმადლობ უმორჩილესად! შენ, მართალია, ოჯახის თავი ხარ, მისი ძველის ძველი მთავარი, მაგრამ მე მაინც შენზე ხნიერი ვარ! მე ბებერი წარმართი ვარ. რომაელები და ბერძნები სიზმრის ღმერთად მიწოდებდნენ. მე ვყოფილვარ და ეხლაც ვარ მიღებული ყველა დიდი კაცის ოჯახში და კარგად ვიცი, როგორ უნდა მოვექცე უბრალო ხალხს და დიდ ვაჟბატონებს და ეხლა კი, რაც გნებავდეს, ის ილაპარაკე! — სთქვა ეს ოლე-ლუკ-ოიმ, ამოიღო თავის ქოლგა ილიაში და წავიდა.

— ჰმ, ჰმ. აღარც ის შეიძლება, რომ კაცმა თავის აზრი გამოსთქვას! — წაიბუტბუტა ძველმა სურათმა. სწორედ ამ უროს ჰიალმარს ვამოეღვიძა.



ქ მ ი რ ა .

სალამო მშვიდობისა!—სთქვა ოლე-
ლუკ-ოიმ. ჰიალმარმა სიხარულით დაუქნია
თაეი, წამოხტა და პაპის სურათი კედლი-
საკენ მიაბრუნა, რომ გუშინდელივით არ
ახირებულყო და ლაპარაკში არ ჩარეოდა.

— აბა ეხლა,—უთხრა ჰიალმარმა, შენ
უნდა მიაშობო ხუთი მუხუდოს მარცვალის
ზღაპარი, ერთ პარკში რომ ისხდნენ, მერე
ვარიის მოარშიყე ყვინჩილის და მახათისა,
რომელიც თურმე ისე ვაამპარტავენდა, რომ
თაეი წმინდა ნემსივით ექირა.

— კარგი რამ ცოტაო, ნათქვამია.— მიუჯო

ოლე-ლუკ-ოიმ.—ხომ იცი, რომ შენთვის სხვა და სხვა სანახავის ჩვენება მირჩევნია.— აი, დღეს ჩემს ძმას გაჩვენებ. ოლე-ლუკ-ოი ჰქვიან, მაგრამ მისვლით ის ყველასთან თითო ხელ მიდის და ვისაც ესტუმრება, იმას თან წაიყვანს ხოლმე და ზღაპრებს ეუბნება. მან იცის მართო ორი ზღაპარი: ერთი ისეთი მშვენიერი რამ არის, რომ კაცი მის მსგავსს ვერ წარმოიდგენს, მეორე კი საზარელი და საშინელია.— აქ ოლე-ლუკ-ოიმ ჰიაღმარი ფანჯარასთან აიყვანა და უთხრა:

— აი ის, ჩემი ძმა, მეორე ოლე-ლუკ-ოი. ადამიანები იმას სიკვდილს ეძახიან. ხომ ხედავ, რომ სრულიადაც არ არის ისე მახინჯი, როგორც სურათებში გამოჰყავთ ხოლმე, ძვლების ჩონჩხად დახატული. სულ ოქრომკერდით მოქარგული ტანისამოსი აცვია, კობტა ჰუსარის მუნდირშია გამოქიმული და ბეჭებზე წამოსხმული შავი ხავერდის წამოსასხამი მალლა უფრიალებს ცხენზე.

აბა გაიხედე, როგორ მოაქენებს ცხენს და ნაფარდობს!

ჰიალმარმა გაიხედა. მეორე ოლე-ლუკ-
ოი მოაჭენებდა ცხენს და იჯდენდა თავის-
თან როგორც ახალგაზრდებს, ისე ბე-
ბრებს. ზოგს წინ, ზოგს უკან, მაგრამ ჯერ
ყველას თითოეულად ეკითხებოდა: „აბა
ყოფაქცევაში რა ნიშანი გიზის?“



— კარგი, — ეუბნებოდა სუყველა.

— აბა მიჩვენე, მე თიჲონ დავხედო! —
ეუბნებოდა ის და ართმევდა ყველას წი-
გნაკებს, რომლებშიაც ნიშნები ეწერა;
წაკითხვის შემდეგ, ვისაც ყოფაქცევაში

ჰქონდა ნიშანი: „ძალიან კარგი“ და „წარჩინებული“, წინ იჯდენდა და მშვენიერს ზღაპარს ეუბნებოდა. ისინი კი, ვისაც მხოლოდ „გვარიანი“ და „საშუალო“ ეწერა, უკან უნდა შემოსხდომოდნენ და საშინელი მოთხრობა მოესმინათ. საწყლები კანკალობდნენ, ტიროდნენ, სცდილობდნენ ცხენიდგან გადმოხტომას, მაგრამ არ შეეძლოთ, რადგანაც შკაჯდებოდნენ თუ არა ცხენს, მაშინვე შეეხორცებოდნენ ზედ.

— სიკვდილი მშვენიერი ოლე-ლეუკ-ოი ყოფილა! — სთქვა ჰიალმარმა. — მე სრულიად აღარ მეშინიან მისი.


— და არც უნდა გეშინოდეს! — უთხრა ოლე-ლეუკ-ოიმ. — ეცადე მხოლოდ, რომ ყოფაქცევაში კარგი ნიშნები გქონდეს.

— აი, ეს კი ჭკუასთან ახლოა! — წაიბუტბუტა პაპის სურათმა. — მე ძალიან კარგად მოვიქეცი მაშინ, ჩემი აზრი რომ გამოვსთქვი! ეტყობოდა, ძალიან კმაყოფილი დარჩა.

აი, ეს არის ოლე-ლეუკ-ოის მთელი ისტორია. ვისურვებ, ამაღამ თითონ გიამბოვსთ ამაზე მეტი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვერდი
1 ჰანს ქრისტიან ანდერსენი.	3
2 ნაძვი.	9
3 ღორის მწყემსი.	31
4 ოღე-ლუკ-ოი.	44



საემ. წვიღო ნახატებიანი

ქურნალი

„**ჯეჯილი**“

(წელიწადი მუშე)

გამოცა 1896 წელსა ეოგელ თვესა
იმავე პროგრამათ, როგორც აქამდას.

ფასი წლიური ხელის მომწერათათვის:
ტფილისში 4 მანეთი, ტფილისს გარეთ
5 მანეთი. ცალკე ნომრის ფასი: 70 კ.
ხოლო სხვა ქალაქებში 75 კ.



გ ა მ ო ვ ი დ ა

კ.თავართკილაძის წიგ. მაღაზიის გამოცემული.

სურათებიანი

(22 სურათით)

„ვეფხისტყაოსანი“

ფასი: კარგს ქალაღდზედ 80 კ.

„ ჩვეულებრივ ქალ. 70 კ.

ისეიდება უკელა წიგნის გაბეო
დვეღებთან საქართველოს სხვა
და სხვა ქალაქებში ჭ გამოძცეპე
ღის წიგნის მაღაზიებში.



1895 წლის მარტიდან:

მეურნეობის, ეკონომიის (მომჭირნეობის)

მეჭრობისა და მრეწველობის

ჰიგიენის ჯანმრთელობის დაცვის,

სტატისტიკისა და საბუთთალო უოკელ კო-
რეული უურნალი

„მეურნე“

გამოიცემა ქუთაისში ახლოს რედაქცი-
ისაგან. ხელ მოსაწერი ფასი: წლით ხუთი
მანეთი. ნახევარი წლით სამი მანეთი.

წლიურ. სოფელს ხელის მომწერს რედაქცია
უსასუფდლოთ შეუტეობს ცნობებს (სპრაკებს)
ქუთაისში უოკელ გვარს სასამართლოებში.

ადრესი: Кутаисъ. Въ редакцію „МЭУРНЭ“

რედაქტორ გათმცემელი ილია ჯეონია.

